



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო კ მ ი N6

ქალაქი ბათუმი

2023 წლის 27 ივნისი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - რამაზ ჯინჭარაძე.

ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

- | | |
|-------------------|---|
| ირაკლი თავდგირიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე; |
| ნატალია ზოიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| მინდია გოგუაძე | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| დავით მახარაძე | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო
- საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ლევან ცხოიძე | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა
და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| გოჩა მგელაძე | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური
განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ნერიმან ცინცაძე | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| თენგიზ აფხაზავა | - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული
საქართველო“ თავმჯდომარე; |
| ასლან ბალაძე | - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული
საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| ლევან ბერიძე | - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული
საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |

ლევან დოლიძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნოდარ დუმბაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
ნაზი ფუტყარაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ბაჩი მექვაბიშვილი	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა ქობულაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი ლომთათიძე	- საკრებულოს წევრი;
ნინო ცხვარაძე	- საკრებულოს წევრი;
აკაკი გვიანიძე	- საკრებულოს წევრი;
თეონა ბერიძე	- საკრებულოს წევრი;
რიჩარდ სირაბიძე	- საკრებულოს წევრი;
ნატალია ძიძიგური	- საკრებულოს წევრი;
ვაჟა დარჩია	- საკრებულოს წევრი;
თეკლა კავაზაშვილი	- საკრებულოს წევრი;
ქეთევან ლასტაკანიძე	- საკრებულოს წევრი;
ილია ჯინჭარაძე	- საკრებულოს წევრი;
ეკატერინე ზარია	- საკრებულოს წევრი;
ირაკლი ზოიძე	- საკრებულოს წევრი.
კახაბერ ქაშიბაძე	- საკრებულოს წევრი;
რევაზ ხარაზი	- საკრებულოს წევრი;

არ ესწრებოდნენ:

- როსტომ ხალვაში - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ნატო ნაცარაშვილი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ლაშა კილაბერია - საკრებულოს წევრი;

საპატიო მიზეზით

არ ესწრებოდა:

- ალექსანდრე ვარშალომიძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - რუსუდან ჟოჟაძე;

- ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ლაშა მამულაძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;

- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;

საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;

- საკრებულოს აპარატის მასშტაბის და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;
- საკრებულოს აპარატის მასშტაბის და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე;
- პრესისა და მასშტაბის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ მიესალმა და განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება საკრებულოს წევრთა ნახევარზე მეტი, სხდომა უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვლისწინებული 14 საკითხი. დასვა კითხვა დღის წესრიგით წარმოდგენილ განსახილველ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვების არსებობის თაობაზე.

საკრებულოს წევრი რევაზ ხარაზი მიესალმა ქალაქის მერს, დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საჯარო ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით მოითხოვა საკრებულოს სხდომაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის დასწრება, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ უპასუხა, რომ ოფიციალური მომართვა არ ყოფილა, მხოლოდ იყო მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენლის დასწრებაზე მოთხოვნა. ასევე განაცხადა, რომ საპატიო მიზეზით ვერ ესწრება საკრებულოს სხდომას ქალაქ ბათუმის მერიის ხელმძღვანელი პირები.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრის მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით უნდა დაკმაყოფილდეს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ განაცხადა, რომ საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრულია საკრებულოს სხდომის მიმდინარეობა. შესაბამისად, უნდა ისაუბროთ დღის წესრიგის გარშემო.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

საკითხი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - რუსუდან ჟოჟაძე)

საკითხი 2. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილითა და 125³ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი - ლაშა მამულაძე)

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი - ლაშა მამულაძე)

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე 76,00 კვ.მ. და 122,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით აუქციონის წესით, განსაკარგი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 1 კვ.მ.-ს საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ბ.ნ.ქ-ს ტერიტორიაზე არსებული 1124,0 კვ.მ და 348,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მამუკა რამიშვილი)

საკითხი 10. „ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შპს „გრინ ქეიფ რეზიდენსი“).

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მამუკა რამიშვილი)

საკითხი 11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (შპს „სმარტი“).

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მამუკა რამიშვილი)

საკითხი 12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (შპს „ჯი არ აი“).

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მამუკა რამიშვილი)

საკითხი 13. „ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველას და დავით კლდიაშვილის ქუჩების კვეთაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე იზოლდა სამსონიას მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხიძე)

საკითხი 14. „ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქ. N7-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე გურამ ჩიგოგიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხიძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 30

არ ესწრებოდა: 1 (ვ. ქაშიბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 2 (ვ. დარჩია, რ. ხარაზი)

არ მიიღო მონაწილეობა - 10 (ნ. დუმბაძე,
ნ. ფუტყარაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე,
ა. გვიანიძე, თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე,
ი. ჯინჭარაძე, ე. ზარია, ი. ზოიძე)

საკრებულოს წევრმა, ქეთევან ლასტაკანიძემ ისაუბრა ქალაქში ბოშებისა და ბოშებს ამოფარებული ქართველი ბავშვების ანტისაზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამგვარი საკითხები არ არის საკრებულოს გადასაწყვეტი, თუმცა აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს შეუძლია მიმართოს თხოვნით შინაგან საქმეთა სამინისტროს, სოციალურ სამსახურს. მან ხაზი გაუსვა ბავშვების უფლებებზე, საზოგადოებაში მათ სწორ რეინტეგრაციასა და რესოციალიზაციაზე, მათ უფლებებზე. საერთაშორისო კონვენციებიდან დაწყებული სახელმწიფო ნორმატიული აქტებით არის მათი უფლებები მოწესრიგებული. აღნიშნულიდან გამომდინარე პრობლემის აღმოფრხვრამდე შესამუშავებელია ნორმა, სამუშაო ჯგუფების რეგულირების სფეროს დაწესებისთვის. მას აქვს რიგი კვლევები განხორციელებული ბოშებთან დაკავშირებით, სადაც საუბარია არა მხოლოდ ბოშებზე, არამედ ქართველ ბავშვებზე, რომლებიც ანტისაზოგადოებაში არიან ჩართული და აღმოსაფხვრელია.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ განმარტა, რომ შეიკრიბონ და ამგვარ საკითხებზე იმსჯელონ გადაწყვეტილების მისაღებად.

საკრებულოს წევრმა, ვაჟა დარჩიამ ისაუბრა ფლაერებზე, ასევე საკოლმეურნეო ბაზარში და კაფე-ბარების მენიუში რუსული წარწერის შესახებ. აღნიშნა, რომ ქალაქში დგას ეკონომიკური ოკუპაციის საკითხი და მიმართა თხოვნით, მუნიციპალურმა ინსპექციამ მიიღოს შესაბამისი ზომები.

საკრებულოს წევრმა რევაზ ხარაზმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მერიისგან ითხოვდა საჯარო ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: ორმულ შეკეთებებზე, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობაზე, პარკინგის საკითხზე, ველობილიკებზე, ველოტრანსპორტისთვის ტერმინალების შესახებ, უკანონო მშენებლობის ნებართვებზე, ქალაქ ბათუმის მერის მიერ ბათუმის წყლის გენერალური დირექტორის მოადგილედ მეგობრის - დავით ბეჭაიას დანიშნის თაობაზე, სადაც ჩანს ნეპოტიზმი. სანდასუფთავების ბიუჯეტით მერმა იყიდა ავტომობილები და თვით ქალაქ ბათუმის მერმა შეიძინა ახალი ავტომობილი, როცა ქალაქში კატასტროფული მდგომარეობაა. ასევე მან განაცხადა, რომ ეს ქვეყანა არის გმირების ქვეყანა, 2008 წლის აგვისტოს ომი იყო გმირების ისტორია, არც მხედართმთავარი ყოლია ამ ქვეყანას ლაჩარი და არც ჯარისკაცი.

საკრებულოს წევრმა, მამუკა ქობულაძემ გააგრძელა რუსულ წარწერებთან დაკავშირებით საუბარი. რუსული ენა ზოგადად პრობლემა არ არის, რადგან ქართველებს შეუძლია სტუმრის პატივისცემა. ქალაქში მოქმედებს არა მარტო რუსულენოვანი კაფეები და ბარები და სალონები, არამედ საგანმანათლებლო სივრცეც. ეს არის კატასტროფა ამ ქალაქისთვის და ქვეყნისთვის. როგორც პედაგოგს ესმის, რომ განათლების სამინისტროს რეგულაციებშია მოქცეული სკოლები და ქალაქის მუნიციპალიტეტს ამ მიმართულებით კონკრეტული წვდომა არ აქვს.

საკრებულოს წევრმა, ნინო ცხვარაძემ განაცხადა მოსახლეობის გულწრფელი მადლიერების თაობაზე ჯანმრთელობის მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ასევე აღნიშნა, რომ ნებისმიერ შენობაზე წარწერები უნდა იყოს კანონმდებლობის მიხედვით პირველ რიგში ქართულ ენაზე.

საკრებულოს წევრმა, ნაზი ფუტყარაძემ აღნიშნა, რომ მოსახლეობას ხვდება როგორც თავის სამაჟორიტარო, ასევე ქალაქის სხვა ტერიტორიებზე. პრობლებზე მიმართავს შესაბამის სტრუქტურებს, მაგრამ ნახევარი წელი გავიდა და დღემდე არცერთი არ არის შესრულებული, ამას ემატება ახალი პრობლემები. შეხვედრა ჰქონდა მემედ ბედიას ქუჩის მაცხოვრებლებთან, ეს ქუჩა თამარ მეფის გამზირზე რკინიგზის ლიანდაგებთან მდებარეობს, რომელთა პრობლემაა რომ ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი აყარეს, დატვირთეს სატვირთო მანქანაზე და წაიღეს, მოსახლეობას კი დაემუქრნენ შეწინააღმდეგებაზე. მოსახლეობის თქმით, ჩაბნელებულია და მოუწესრიგებელია აღნიშნული ტერიტორია. ასევე შეხვდა მაგნოლიის ქუჩის #1 ნომერში მცხოვრებ მოსახლეობას, სადაც ბარაკული ტიპის სახლებში მცხოვრებ მოსახლეობას მომდგარი აქვს ბიძინა ივანიშვილის მიერ აშენებული ეროზიული შენობა. ამ საკითხებთან დაკავშირებით დღემდე რეაგირება არ მომხდარა. მიტოვებული და ჩაბნელებულია თამარ მეფის გამზირზე არსებული სკვერი, განთავსებული არ არის გაჩერებებზე მოსაცდელეები, ბარცხანის დასახლებაში განთავსებულია სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი ე.წ. „მწოლიარე პოლიციელი“, თუმცა არაერთხელ მოითხოვეს ნობელების ქუჩაზე, სადაც საცობის დროს მთელი დატვირთვით შემოდინან მანქანები და სწრაფად მოძრაობენ, რომლებიც დღესაც არ გაკეთებულა. მოსახლეობას აინტერესებს ბარცხანის ზღვის სანაპიროს გადათხრის საკითხი, სადაც გაჩერებულია სამუშაოები.

საკრებულოს წევრი, აკაკი გვიანიძე გამოეხმაურა ნინო ცხვარაძეს, რომელმაც პარტია „ხალხის ძალიდან“ ბრძანა, რომ ვინ უფრო ღირსეულად მოიქცა საქართველოს პრეზიდენტი, რომელმაც შეიწყალა ნიკა გვარამია თუ გვარამია, რომელიც ლანძღავდა უღირსი სიტყვებით, აქედან გამომდინარე გამოვიდა პრეზიდენტის დაცვა, სინამდვილეში მისი პარტიის და ქართული ოცნების ლიდერები უშვერი სიტყვებით და ზუსტად იმავე სიტყვებით ლანძღვდნენ პრეზიდენტს, რა სიტყვებითაც მანამდე გვარამია, რომელიც წარმოადგენდა იმ მანკიერებებს, რომელსაც ვებრძოდით ყოველთვის. თავად ქართულ ოცნებაზე რა შეიძლება ითქვას, რომლებმაც თქვეს, რომ მართალი ყოფილა გვარამიას როცა პრეზიდენტზე იმ სიტყვებს ამბობდაო და ამიტომ ამაზე პასუხი საინტერესო იქნებოდა. რაც შეეხება ტურიზმს, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სექტორია ჩვენი ქალაქისთვის და ძალიან მნიშვნელოვანია მომზადებულები შეხვდნენ სეზონს. მოქალაქეების აბსოლიტური უმრავლესობა დამოკიდებულია ტურისტული სეზონის წარმატებით ჩატარებასთან. წინა სხდომაზე ქალაქ ბათუმის მერს ბევრი წინადადება გაუზიარა და იმედი აქვს ამ შეკითხვებზე პასუხს თუ არ მიიღებს ქალაქში დაინახავს გაკეთებულს. ამ შემთხვევაში ყველაზე დიდი

პრობლემაა ზღვა და მისი სანაპირო. მოუწოდა ბულვარის ადმინისტრაციას და მუნიციპალურ ინსპექციას და ასევე ყველა სახელმწიფო უწყებას, რომ შეზღოვნები წყლიდან დაშორებული იყოს, რადგან ადამიანებს, რომლებსაც არ სურს იქირავოს, მათ მიეცეთ სრულფასოვნად დასვენების საშუალება. რუსების მიგრაციასთან დაკავშირებით იყო საუბარი, თუმცა მან სხვა კუთხით შეეხო, რუსები არიან ძალიან ორგანიზებულები და იმ ქალაქში, სადაც მასშტაბურად ჩადიან აკეთებენ რუსულენოვან ჩატს და კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს. კერძოდ, ნაღმი როდესაც გამორიყა და აფეთქდა, რუსები იღებდნენ და მათ გაავრცელეს, გუმინ გავრცელდა ვიდუო სოციალურ ქსელში, რომ მკვდარი დელფინი გამოირიყა მაგნოლიასთან. ეს ფაქტიც რუსებმა გადაიღეს და გაავრცელეს. აქტიურად იწერება, ბათუმის სანაპიროზე დასვენების საშიშროება. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ნაცვლად იმისა, მითვალთვალვებდეს მე, გითვალთვალვებდეთ თქვენ, პოლიტიკოსებს, ცნობად სახეებს ... დაკავებული უნდა იყოს ამ საკითხებზე რეაგირებით. ყველა "ფეიკს", თუ ის არის "ფეიკი", უნდა გაეცეს დროული პასუხი. ასევე პლაჟზე ყურადღებით იყვნენ ბულვარის ადმინისტრაციის თანამშრომლები და მუნიციპალური ინსპექცია. მრავალი წელია პრობლემას წარმოადგენს ჭოროხიდან ჩამოტანილი ნარჩენები ხეები, მორები, ფიჩხები და ასევე მნიშვნელოვანია ქალაქმა რაღაც რეაგირება მოიფიქროს. ასეთი ინფორმაციები დიდ ზიანს აყენებს ტურისტულ სეზონს.

საკრებულოს წევრმა, ნატალია ზოიძემ განაცხადა, რომ დღეს დაისვა კრიტიკული მოსაზრებები, რომელიც მუნიციპალიტეტმა უნდა გამოასწოროს, გასაკეთებელი გააკეთოს. „აირაის“ კვლევებით 70% კმაყოფილია აჭარის მუნიციპალიტეტების, 28% უკმაყოფილო, 69% კმაყოფილია საკრებულოს მუშაობით, 27% უკმაყოფილო. ეს ციფრები მიაჩნია, რომ ბუნებრივია ყოველთვის იქნება პრობლემა, რის გამოც უკმაყოფილოა მოქალაქე, მაგრამ იმის მცდელობა, რომ ცალკეული პრობლემები დიდ პრობლემად წარმოჩინდეს არის მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა. ეს პრობლემები უნდა გამოსწორდეს.

საკრებულოს წევრმა, თეკლა კავაზაშვილმა აღნიშნა, რომ კოლეგების მიერ გახმაურდა პრობლემებზე ყურადღება, თუმცა ზაფხულის პერიოდში გაიზარდა მიმართვიანობა საბავშვო ატრაქციონებთან დაკავშირებით, შესაბამისად კარგად ახსოვს რამდენიმე თვის უკან ტრაგედია, არასწორად დამონტაჟებული ბატუტის გამო ბავშვი გარდაიცვალა, რადგან არ არსებობს კონკრეტული ნორმა, ამიტომ რეგლამენტი გამოვიყენოთ და წინადადებით მივმართოთ საქართველოს პარლამენტს ამ სფეროს მოსაწესრიგებლად. კარგი იქნება შემდეგ საკრებულოს სხდომაზე მოწვეული იქნას ბულვარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ასეთ საკითხებზე მსჯელობისათვის.

საკრებულოს წევრის, ნატალია ზოიძის განმარტებით, პერიოდულად ზღვის წყლის ხარისხის შემოწმება მოხდება, როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს, ისე აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოს მხრიდან, უკვე ჩატარებული კვლევების მიხედვით, წყლის ხარისხი გაუმჯობესებულია.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ განმარტა, რომ ყველა წამოჭრილ საკითხებზე მოხდება რეაგირება შესაბამისი სამსახურების მიერ.

საკრებულოს წევრმა, თენგიზ აფხაზავამ უპასუხა, რომ ამგვარ საკითხებზე შრომის უსაფრთხოების ინჟინრები მუშაობენ და მათი პასუხისმგებლობა იქნება ისეთი საკითხები, რომ პრევენცია მოხდეს და ყველა რისკი იქნას დაზღვეული უბედური შემთხვევისგან. მან ასევე გამოეხმაურა რუსულენოვან სწავლებასთან დაკავშირებით, რომელიც არის პრობლემა, თუმცა არის სხვა პრობლემა, კერძოდ, დაახლოებით 20-მდე უკრაინელმა ოჯახმა მიმართა, დაეხმარა საბავშვო ბაღებში თუ სკოლის

დაწესებულებებში ბავშვის მოწყობაში, რომლებმაც ერთხმად აღიარა რუსულ ენაზე სწავლა, რომელიც სერიოზული პრობლემაა.

საკრებულოს წევრმა, ბაჩი მექვაბიშვილმა განაცხადა, რომ სამწუხაროა ქალაქისთვის რუსები, რომლებიც უკვე დასახლდნენ. შეიქმნა სკოლების პრობლემა, კერძო სკოლებში უკვე თავისუფალი ადგილები არ არის და ქალაქში რეკლამად რუსული წარწერებია. მუნიციპალური ინსპექცია კი არანაირ ზომებს არ ახორციელებს.

საკრებულოს წევრმა, ნატალია ძიმიგურმა აღნიშნა, რომ ბათუმი მრავალეროვანი და მრავალნაციონალური ქალაქია, ის რომ სახელმწიფო ენა ქართული უნდა იყოს - ეს უდაოა. ქალაქში ცნობილი ქიმწმენდაა, 12 წლის წინ ამ ქიმწმენდას ჰქონდა ჩექვაქტურა უცხო ენაზე-თურქულად და ის იყო, რომელმაც მყისიერი რეაგირება გააკეთა. დღეს ის ობიექტი ფუნქციონირებს და აქვს ქართულ ენაზე წარწერა. ყველას მოეთხოვება სახელმწიფო ეროვნული ინტერესების დაცვა.

საკრებულოს წევრი, ზურაბ ნაკაიძე გამოეხმაურა რეკლამებს უცხო ენაზე. მუნიციპალურ ინსპექციაში თათბირზე ეს საკითხი განხილული იქნა, დავალება გაიცა რეაგირებაზე და მას შემდეგ 30 ჯარიმა იქნა გამოწერილი, 20 გამოსწორდა, მოხდა ადგილზე მონტაჟი. ყველამ, სადაც დაფიქსირდება ასეთი ფაქტები, ინფორმაცია მიაწოდეთ მუნიციპალურ ინსპექციას რეაგირებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ მიმართა, რომ ყველას აქვს გამოხატოს პოზიცია, თუმცა იყავით კოლეგიალურები და დაიცავით საკრებულოს რეგლამენტი.

საკრებულოს წევრმა, ნოდარ ღუმბაძემ მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია არა ნიკა გვარამიას თავისუფლება, არამედ მისი გადაწყვეტილება ქვეყნის მიმართ. მან სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება მიიღო. ასევე დღის წესრიგით გათვალისწინებულია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცება“, კარგია საბინაო ფონდის გაზრდას, რომ ახორციელებს მუნიციპალიტეტი, რომელსაც მიესალმება.

საკრებულოს წევრის, ნატალია ძიმიგურის თქმით, კონსტრუქციული და ჯანსაღი ოპოზიცია ყოველთვის საჭიროა გადაწყვეტილების მისაღებად.

მომხსენეს:

საკითხი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - რუსუდან ჟოჟაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში - გაერო) გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო A/RES/70/1 რეზოლუცია¹ - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომლის განუყოფელი ნაწილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა“. 2017 წლის 6 ივლისს კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის A/RES/71/313

რეზოლუციით დადგინდა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორთა ჩამონათვალი. მდგრადი განვითარების მიზნები მსოფლიოს გარშემო აერთიანებს ქვეყნების ხელისუფლებებსა და მოსახლეობას შემდეგი ღირსეული ამოცანების შესასრულებლად: სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება, თანასწორობის ხელშეწყობა, ქალაქების მდგრადობა, კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა, ოკეანეებისა და ტყეების დაცვა, ყველა დონეზე ეფექტიანი, ანგარიშვალდებულებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები წარმოადგენს ათასწლეულის განვითარების მიზნების ლოგიკურ გაგრძელებას, რომელთა შესრულების ვადა 2000 – 2015 წლების პერიოდს მოიცავდა. 2015 წელს, ამ მიზნების შესრულების ვადის დასასრულს, გაეროს ათასწლეულის მიზნები გარდაიქმნა უფრო ყოვლისმომცველ – მდგრადი განვითარების მიზნებად. 2015 წელს საქართველომ, გაეროს ყველა სხვა წევრ ქვეყანასთან ერთად, გამოთქვა სურვილი, განეხორციელებინა 2030 წლისთვის დასახული მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები.

2016 წელს, საქართველომ, ერთ-ერთმა პირველმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნებიდან, მდგრადი განვითარების შესახებ გაეროს მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე (High Level Political Forum-HLPF) წარადგინა პირველი ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის (VNR)² ამსახველი ანგარიში. ხოლო მეორე ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანგარიში საქართველოს მხრიდან წარდგენილ იქნა 2020 წელს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2020 წლის 23 იანვრის №14 ბრძანებით შექმნილი მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს სხდომაზე წარდგენილ იქნა მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის გეგმა, რომელიც ერთხმად იყო მოწონებული საბჭოს წევრების მიერ.

კონსულტაციების შედეგად, ბათუმის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და თვითმმართველი ერთეულის კონტექსტის გათვალისწინებით, გაეროს მდგრადი განვითარების **17 მიზანი და 27 ამოცანა** განისაზღვრა მუნიციპალურ პრიორიტეტად. მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის პროცესში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის მერიის ყველა შესაბამისი სამსახური, მუნიციპალიტეტის საკრებულო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი მომზადდა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, რომელიც სრულად ეყრდნობა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრის A/RES/70/1 და 2017 წლის 7 ივლისის A/RES/71/313 რეზოლუციებს. მისი კომპლექსურობის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და აქტიური მუშაობის შედეგად, თითოეული ამოცანის შესრულება გაიწერა დროში და დადგინდა **35 ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები (2030 წლისთვის)**.

მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი ეხება მდგრადი განვითარების 3 განზომილებას – ეკონომიკურს, სოციალურსა და გარემოსდაცვითს. იგი წარმოადგენს იმ მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების ადგილობრივ განსაზღვრებას, რომლის შესაბამისადაც ბათუმის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საქმიანობის დაგეგმვას 2030 წლამდე.

მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვისა და მათი შესრულების მონიტორინგის ხელშეწყობის მიზნით, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნება მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივი საბჭო, რომელსაც უხელმძღვანელებს ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი. სამუშაო ჯგუფების მუშაობაში ასევე ჩართული იქნებიან ყველა დაინტერესებული მხარე საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორებიდან.

მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგი განხორციელდება წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის იანვარში.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ მუნიციპალიტეტის მიმობილვის ანგარიში წარედგინება საქართველოს პრემიერ-მინისტრის, 2020 წლის 23 იანვრის, №14 ბრძანებით შექმნილ, მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს, წელიწადში ერთხელ, თებერვლის თვეში. ასევე, საბოლოო ანგარიში შემუშავდება 2030 წელს.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 29
არ ესწრებოდა: 2 (კ. ქაშიბაძე, ქ. ლასტაკანიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -11 (ნ. დუმბაძე,
ნ. ფუტკარაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე, ა. გვიანიძე,
ვ. დარჩია, თ. კავაზაშვილი, ი. ჯინჭარაძე, ე. ზარია, ი. ზოიძე,
რ. ხარაზი)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ გამოაცხადა შესვენება 13.30 საათამდე. სხდომა განახლდა 13.30 სთ.

შესვენების შემდეგ სხდომას არ ესწრებოდნენ: ნ. ფუტკარაძე, რ. ხარაზი, ი. ზოიძე, ვ.დარჩია, ქ. ლასტაკანიძე, ე. ზარია.

მთხმინეს:

საკითხი 2. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილითა და 125³ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი - ლაშა მამულაძე)

მომხსენებელმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N10 დადგენილებით რიგი ცვლილებები იქნა შეტანილი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილითა და 125³ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N8 დადგენილებაში, რითაც ახლებურად დადგენილი იქნა წესი, ასევე შეიცვალა დადგენილების სათაური და პრეამბულა, თუმცა რიგ მუხლებში საჭიროა ცვლილების შეტანა, ასევე წესის დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი და მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი საჭიროებს ახლებურად ჩამოყალიბებას, კერძოდ:

ა) მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს უნდა შემდეგი რედაქციით:

„11. თუ დამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ, საამისოდ უფლებამოსილმა პირმა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-ე მუხლის 2¹ ნაწილის შესაბამისად, შეიძლება სამართალდამრღვევი მიიყვანოს პოლიციაში სახელის, გვარისა და საცხოვრებელი მისამართის დადგენის მიზნით. აღნიშნული მონაცემების დადგენის შემდეგ თანამშრომელი ავსებს საჯარიმო ქვითარს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.“.

გ) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თანამშრომელი ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს ავსებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125³ მუხლით და 135-ე და 135¹ მუხლებით, თუ სამართალდამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ, საამისოდ უფლებამოსილმა პირმა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-ე მუხლის 2¹ ნაწილის შესაბამისად, შეიძლება

სამართალდამრღვევი მიიყვანოს პოლიციაში სახელის, გვარისა და საცხოვრებელი მისამართის დადგენის მიზნით. აღნიშნული მონაცემების დადგენის შემდეგ თანამშრომელი ავსებს ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს. აღნიშნული პროცესი საამისოდ უფლებამოსილმა პირმა შეიძლება დააფიქსიროს ელექტრონული მოწყობილობით და ამის თაობაზე ვალდებულია აცნობოს სამართალდამრღვევს.“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომზადებული იქნა აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა, ირაკლი თავდგირიძემ აღნიშნა, რომ ევაკუატორის მიმართულებით რიგი პრობლემებია, მაგ. ბულვარის შესასვლელთან იქმნება საცობი, ასეთ საკითხებზე მისაქცევია ყურადღება.

საკრებულოს წევრმა, ნოდარ დუმბაძემ განაცხადა, რომ კონტროლიორების მიერ ხდება ავტობუსის შეჩერება და იქმნება საცობი. ასევე ქალაქში უკანონო მშენებლობებზე არ ხდება რეაგირება და ქალაქი გასაწმენდია გაჩერებული ტრაილერებისგან.

მომხსენებლის განმარტებით, საქართველოს პარლამენტმა იმსჯელა და შევიდა ცვლილება მხოლოდ თბილისში, სადაც აღნიშნულ შემთხვევებზე ჯარიმა გახდა 50 ლარი.

საკრებულოს წევრის, აკაკი გვიანიძის განცხადებით დღესაც შეინიშნება არაერთი დარღვევა, ყველა ქუჩა, ტროტუარი არის ჩახერგილი და ავტომანქანების პარკირებად გადაქცეული.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი საკითხი ამოსაღებია დღის წესრიგიდან, შესათანხმებელია შესაბამის სამსახურთან და შემდგომ სხდომაზე დეტალურად იქნას წარმოდგენილი და მომზადებული.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხის ამოღება დღის წესრიგიდან დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 25

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -7 (ნ. დუმბაძე,

ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე, ა. გვიანიძე,

თ. კავაზაშვილი, ი. ჯინჭარაძე, კ. ქაშიბაძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : ამოღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი - ლაშა მამულაძე)

მომხსენებელმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის №4 დადგენილებით დამტკიცებული იქნა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესი, რომლითაც განისაზღვრა ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ პროცედურები, აგრეთვე ამ წესის აღსრულების მიზნით, ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“-ს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებები.

წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: პირისათვის საჯარიმო ქვითრის განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“ საჯარიმო ქვითარს დაუყოვნებლივ აქვეყნებს საჯაროდ, ოფიციალურ ვებ-გვერდზე – „batumitransport.ge“, შესაბამის ველში.

დღეის მდგომარეობით შექმნილია ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის ვებ-გვერდი „inspection.batumi.gov.ge“, სადაც განთავსებულია ინფორმაცია დაჯარიმებულ პირთა შესახებ. მიზანშეწონილია აღნიშნულ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდეს ასევე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯაროდ გამოსაქვეყნებელი საჯარიმო ქვითრები, რისთვისაც საჭიროა დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 23

არ ესწრებოდა: 2 (ა. გვიანიძე, ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე 76,00 კვ.მ. და 122,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის N3438/02 (N07-1423156331-14; 02.06.2023წ.) წერილი, იმის თაობაზე, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ 2023 წლის 09 იანვარს №2363363 კორექსოდენციით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, რომელიშიც აღნიშნულია, რომ სს „ენერგო პრო-ჯორჯია“ ახორციელებს ქვ/ს „ბათუმი 220“-ისა და ქვ/ს „ბათუმი 4“-ის დამაკავშირებელი 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის (ეგხ) „ქარნალი“-ს მშენებლობას, რომელიც შემდგომში იქნება ქალაქ ბათუმის ერთერთი ძირითადი კვების წყარო. ასევე ქვ/ს „ბათუმი 4“-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე ობიექტების საიმედო და უწყვეტი ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად, სს „ენერგო პრო-ჯორჯია“ განიხილავს 110/35/10 კვ ძაბვის ქვ/ს „ბათუმი 4“-ის (ს/კ 05.32.14.092) რეკონსტრუქციას, შესაბამისი საკომუტაციო მოწყობილობების განსათავსებლად, რისთვისაც აუცილებელია რეგისტრირებული ტერიტორიის გაფართოება.

აქედან გამომდინარე, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ითხოვს მის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების (ს.კ. 05.32.14.092) მიმდებარედ არსებული 2 (ორი) ერთეული მიწის ნაკვეთის, კერძოდ: 76,0 კვ.მ და 122,0 კვ.მ მიწის ნაკვეთების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემას, იმ პირობით, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) წლის ვადაში კომპანია უზრუნველყოფს არსებული ქვესადგურის რეკონსტრუქციას. ამასთან, მიწის ნაკვეთები დღეის მდგომარეობით რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ს.კ. 05.32.14.277; ს.კ. 05.32.14.278).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე 76,00 კვ.მ. და 122,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (ს.კ. 05.32.14.277 და ს.კ. 05.32.14.278) შემდგომში, მისი სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-სათვის გადასაცემად 110/35/10 კვ. ძაბვის ქვ/ს-ის ტერიტორიის გაფართოების მიზნით.

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთების (ს.კ. 05.32.14.277 და ს.კ. 05.32.14.278) სს „ენერგო პრო ჯორჯია“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად საკუთრებაში გადაცემა.

ბ) გადადების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 05.32.14.277 და ს.კ. 05.32.14.278) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება მისი სს „ენერგო პრო ჯორჯია“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემა.

სხვა შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს მისი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის საკითხს.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

არ ესწრებოდა: 4 (ა. გვიანიძე, ნ. დუმბაძე,
რ. სირაზიძე, ი. თავდგირიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის
სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, ქალაქბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი მათი განკარგვის მიზნით.

საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში 87-ე პუნქტად შეტანილია ქ. ბათუმი, ტ. შევჩენკოს №12-ში არსებული 316.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.28.19.023). მერიის მიერ განხორციელდა №05.28.19.023 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის კორექტირება, შესაბამისად შეტანილი უნდა იქნას ცვლილება ნუსხასა და გეგმაში ხსენებულ კოდზე (პუნქტი 87). ხოლო საპრივატიზებოდ საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში და გეგმაში შეტანილი უნდა იქნას კორექტების შედეგად №05.28.19.692 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 258.00 კვმ მიწის ნაკვეთი. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს №003491323, 23.05.2023წ დასკვნის შესაბამისად 258.00 კვმ მიწის ღირებულება განსაზღვრულია 156 473 ლარად. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია №05.28.19.692 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 258.00 კვმ მიწის ნაკვეთის ღირებულებად საბოლოოდ განსაზღვრული იქნას 156 500,0 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

არ ესწრებოდა: 4 (ა. გვიანიძე, ნ. დუმბაძე, რ. სირაბიძე, ი. თავდგირიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით აუქციონის წესით, განსაკარგი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 1 კვ.მ.-ს საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სარგებლობის ფორმით, აუქციონის წესით სარგებლობაში განსაკარგი ქონების (მიწის ნაკვეთი) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა, შემდგომი განკარგვის მიზნით.

ა.ბ) პროექტის არსი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის ფორმით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა.

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების სარგებლობის ფორმით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი ქონების სარგებლობის საფასურის სახით

მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასურის განისაზღვრის დროს გამოყენებული იქნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა №003475923, 23.05.2023 წ. დასკვნის შესაბამისად 05.32.18.074 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს 801,88 ლარს, საიჯარო ქირა 5% - 40,09 ლარი; საბოლოოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია 1 კვ.მ მიწის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს არანაკლებ 5%-სა 45,0 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 23
არ ესწრებოდა: 2 (ა. გვიანიძე, ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ბ.ნ.ქ-ს ტერიტორიაზე არსებული 1124,0 კვ.მ და 348,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 02 ივნისის N3378/02 (N07-1423153474-14) და 21 ივნისის N3651/02 (N07-1423172275-14) წერილები, რომელიშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილია სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 2023 წლის 09 იანვრის №2363362 კორესპოდენცია, ქალაქ ბათუმის საკურორტო ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით, სახელმწიფოს ხელშეწყობით, სხვადასხვა საინვესტიციო პროექტის განხორციელების თაობაზე. მათ შორისაა ბარცხანისა და თამარის დასახლების ორ კილომეტრიან ზოლში ხელოვნური კუნძულის პროექტი. როგორც

დასახელებულ, ისე სხვა მიმდინარე პროექტების ფარგლებში შექმნილი ობიექტების საიმედო და უწყვეტი ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად, სს „ენერგო პრო-ჯორჯია“ გეგმავს მის საკუთრებაში არსებული 110/6 კვ. ძაბვის ქვ/ს-ის რეკონსტრუქციას, რისთვისაც აუცილებელია არსებული ტერიტორიის გაფართოება. აქედან გამომდინარე, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ითხოვს მის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების (ს.კ. 05.30.18.071) მიმდებარედ არსებული 2 (ორი) ერთეული მიწის ნაკვეთის, კერძოდ: 1124,0 კვ.მ და 348,0 კვ.მ მიწის ნაკვეთების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემას, იმ პირობით, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) წლის ვადაში კომპანია უზრუნველყოფს არსებული 110/6 კვ. ძაბვის ქვესადგურის გაფართოებას.

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთებიდან ქ.ბათუმში, ბ.ნ.ქ.-ს ტერიტორიაზე მდებარე 1124,0 კვ.მ და 348,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები დარეგისტრირებულ იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებად (ს.კ. 22.22.15.336; ს.კ. 22.22.15.337).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ბ.ნ.ქ.-ს ტერიტორიაზე მდებარე 1124,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 22.22.15.337) და ქალაქ ბათუმში, ბ.ნ.ქ.-ს ტერიტორიაზე მდებარე 348,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 22.22.15.336). შემდგომში, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-სათვის გადაცემის მიზნით, 110/6 კვ ძაბვის ქვესადგურის ტერიტორიის გასაფართოებლად.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად თვლის, რომ ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს შემდეგი პირობებით:

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 22.22.15.337 და 22.22.15.336) სს „ენერგო პრო ჯორჯია“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად საკუთრებაში გადაცემა.

ბ) გადადების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 22.22.15.337 და 22.22.15.336) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება მისი სს „ენერგო პრო ჯორჯია“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემა. სხვა შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს მისი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის საკითხს.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 25

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მთავარი:

საკითხი 8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 21 ივნისის №3652/02 (07-1423172281-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ქალაქ ბათუმში, ე.წ. შანხაის დასახლებასა და სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩა N94-96-ის მიმდებარედ ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საჭიროებიდან გამომდინარე, აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების პროგრამული ღონისძიების (ქალაქმშენებლობითი ღონისძიების გეგმის) განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის Nგ-15.15230895 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი იქნა მომართვა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N3-ში, მე-4 სართულზე მდებარე 71,0 კვ.მ. ფართის N39 ბინის (ს.კ. 05.25.05.017.01.039) და ქალაქ ბათუმში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N1-ში, მე-11 სართულზე მდებარე 44,0 კვ.მ. ფართის N1120 ბინის (ს.კ. 05.25.05.006.01.01.1120) ქალაქ ბათუმში, შავშეთის ქ. N29-ში მცხოვრები ცილა ენგიბაროვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ზემოაღნიშნული უძრავი ქონებების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა შემდგომში, ცილა ენგიბაროვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 25

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურისტის სამტატო ერთეულის დასახელების ცვლილება, კერძოდ აღნიშნულ სამტატო ერთეულს ეხსნება იურისტის დასახელება და ყალიბდება მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციად. ასევე, ამავე განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ერთ პოზიციას ეცვლება დასახელება და ყალიბდება პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურისტის პოზიციად.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 25

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 10. „ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი ქ. N62ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კN N05.34.23.050 მრავალსართულიანი შენობის მშენებლობის მიზნით წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

განმცხადებელი შპს „გრინ ქეიფ რეზიდენსი“ (ს/N446987725);

დადგენილი კ2 კოეფიციენტი - 2,4

მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა 4

მოთხოვნილი კ2=5,5;

საპროექტო ობიექტი - მრავალბინიანი;

ინიცირება - 2023 წლის 17 თებერვლის ბ14. 14230483

ბ) ქალაქ ბათუმში; პუშკინის ქ. N132ბ/132გ/132დ-ში 05.27.14.086) და მელიქიშვილის ქ. N42-ში 05.27.14.003), სადაც არსებული ქალაქმშენებლობითი პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება ხდება კოეფიციენტის გაზრდა 17,0-მდე. აღნიშნულის სანაცვლოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მშენებლობის ნებართვის აღების პარალელურად უმაღლვე საკუთრებაში გადაეცემა შენობანაგებობის გაზრდილი ფართობის არანაკლებ 10%-ისა სასარგებლო ფართობის სახით უნდა დარეგისტრირდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და გამოყენებული უნდა იქნეს სოციალური მიზნით, მათ შორის, ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 25

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 7 (ნ. დუმბაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე, ა. გვიანიძე, თ. კავაზაშვილი, ი. ჯინჭარაძე, კ. ქაშიბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (შპს „სმარტი“).

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმში, მდებარე მიწის ნაკვეთებზე: 05.32.03.215; N05.32.16.239; N05.32.03.101; N05.32.16.227; N05.32.16.228; N05.32.16.230; N05.32.16.242 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

განკარგულების მიღების მიზანია ქალაქ ბათუმში, 05.32.03.215; N05.32.16.239; N05.32.03.101; N05.32.16.227; N05.32.16.228; N05.32.16.230; N05.32.16.242 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

ინიციატორის მიერ დასახელებული განვითარების მიზანია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, მოთხოვნილია დადგენილი კ2 მაჩვენებლის გადამეტება, რაც წარმოადგენს სწორედ საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს და ამასთან საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 19 (შემდგომ კოდექსი) 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია კ2 მაჩვენებლის გადამეტების საფუძველი — გდგ, სახეზე გვაქვს დაგეგმვის საჭიროება. დაგეგმვის მიზნებია: • განაშენიანების რეგულირება, რომელიც ხორციელდება ქალაქმშენებლობითი გეგმების მეშვეობით; • ტერიტორიის განახლება და განვითარება; • მიწის ნაკვეთების განვითარება, მათი გამოყენებისა და განაშენიანების კონკრეტული რეგულირება და სათანადო

უზრუნველყოფა. • სივრცის გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობის მომავლისათვის შენარჩუნება; • განვითარების გრძელვადიანი პოტენციალის შენარჩუნება და სათანადო უზრუნველყოფა; • ტერიტორიის ფუნქციურ მდგრად ერთეულად ჩამოყალიბება

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 25

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 7 (ნ. დუმბაძე, ბ. მექვაბიშვილი,
მ. ქობულაძე, ა. გვიანიძე, თ. კვაჭაშვილი,
ი. ჯინჭარაძე, კ. ქაშიბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (შპს „ჯი არ აი“).

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

საჯარო ინტერესები: ქალაქის ნაწილების გამოყენებისა და განვითარების მოწესრიგება საჯარო და კერძო ინტერესების შეჯერების საფუძველზე შემუშავებული ქალაქთმშენებლობითი გეგმების მეშვეობით; სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ერთეულების მდგრად ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბება; ტერიტორიის მოწესრიგება, განვითარება და სათანადო უზრუნველყოფა, ადამიანის საარსებო გარემოს ჰარმონიული განვითარებისათვის პირობების შექმნა; ეკონომიკის დარგების მათ შორის სამშენებლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა; კერძო ინტერესები: გეგმარებითი ერთეულზე განთავსებული მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება; ადამიანისათვის ღირსეული საცხოვრებელი გარემოს და პირობების შექმნა; 83 ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს და უსაფრთხო პირობების შექმნა და შენარჩუნება; ეკონომიკური საქმიანობის განვითარება; სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, განახლება და განვითარება; სატრანსპორტო/საინჟინრო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა; 2.2.3. ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებები განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების დავალების 2.4.2. ნაწილის შესაბამისად ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმა გულისხმობს როგორც, გეგმარებით ერთეულში საზოგადოებრივ ინტერესებით განპირობებულ ინფრასტრუქტურული, თუ სხვა სახის გაუმჯობესების (კეთილმოწყობის, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის და მსგ.) ღონისძიებებს, ასევე

მაკომპენსირებელი ღონისძიებებს. კოდექსის თანახმად კ1/კ2 ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება უნდა კომპენსირდებოდეს სხვაღონისძიებებით. დავალების 1.4.3.2. მაკომპენსირებელი ღონისძიება მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც ორიენტირებული უნდა იყოს გეგმარებითი ერთეულის შიდა მოთხოვნილებებზე, ხოლო ამგვარის შეუძლებლობის (მაგ. ფიზიკური გარემოს არასაკმარისი შესაძლებლობები) შემთხვევაში — დასაშვებია მისი დაბალანსება მუნიციპალიტეტისთვის საცხოვრებელი ერთეულების ან კომერციული დანიშნულების უძრავი ნივთის გადაცემით, თანაზომადი ოდენობის ფართობით, თუმცა არანაკლებ გეგმარებით ერთეულში დაგეგმილი კ 1 / 2 მაჩვენებლის 10 %-სა. მაკომპენსირებელი ღონისძიება: ინვესტორი კომპანია შპს „ჯი.არ.აი“ გამოთქვამს მზადყოფნას, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს გადასცეს განაშენიანების ინტენსივობის გაზრდილ და დადგენილ კოეფიციენტებს შორის სხვაობით მიღებული საცხოვრებელი ფართის 10%, საცხოვრებელი ბინის სახით. გადასაცემი ფართი დაზუსტდება ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების შედეგად.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 25

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 7 (ნ. დუმბაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე, ა. გვიანიძე, თ. კავაზაშვილი, ი. ჯინჭარაძე, კ. ქაშიბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 13. „ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველას და დავით კლდიაშვილის ქუჩების კვეთაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე იზოლდა სამსონიას მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხომიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მკვიდრი, ეთნოლოგიის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ქალბატონი იზოლდა სამსონია წარმატებით იკვლევდა აჭარის მატერიალური კულტურის, ბათუმის შემოგარენისა და მისი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხებს, რასაც 60-ზე მეტი ნაშრომი მიუძღვნა. მან, პირველმა მონოგრაფიულად შეისწავლა აჭარული ტანსაცმელი და ჩაცმულობა.

განსაკუთრებით საყურადღებოა მისი სტატიები: „ხალხური სამზარეულო აჭარაში“, „ხანდაზმულთა კვების სტრუქტურა აჭარაში“, „ბავშვის დაბადაბასთან და აღზრდასთან დაკავშირებით წეს-ჩვეულებები აჭარაში“ და სხვა...

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 25

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 7 (ნ. დუმბაძე, ბ. მექვაბიშვილი,
მ. ქობულაძე, ა. გვიანიძე, თ. კავაზაშვილი,
ი. ჯინჭარაძე, ვ. ქაშიბაძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 14. „ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქ. N7-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე გურამ ჩიგოგიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხომიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დიდმა ქველმოქმედმა, საუკეთესო მენეჯერმა და ხელმძღვანელმა გურამ ჩიგოგიძემ რადიო „ფორტუნა“ ამერიკელ პარტნიორებთან, „მეტრომედია ინთერნემენალთან“ ერთად 1998 წელს გახსნა და უდიდესი გადატრიალება მოახდინა ქართული რადიომაუწყებლობის სფეროში. სწორედ გურამ ჩიგოგიძის ინიციატივით შეიქმნა დღეს ისეთ პოპულარული რადიოსადგურები, როგორებიცაა „ფორტუნა პლუსი“, „არ დაიდარდო“ და „ავტორადიო“. მოგვიანებით კი ჰოლდინგს მუსიკალური ტელევიზია „მიუზიქ ბოქსიც“ შეემატა.

გურამ ჩიგოგიძის ხელმძღვანელობით პირველად ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა საუკუნის ფესტივალი, პირველი მუსიკალური დაჯილდოვების ცერემონია, შეიქმნა უამრავი პროექტი. პირველად ქართული რადიო სივრცეში, „ფორტუნა“ გახდა მთავარი, მათ შორის საქველ-მოქმედო ღონისძიებების მხარდამჭერი და მედიაპარტნიორი. სწორედ გურამ ჩიგოგიძის ხელმძღვანელობით „ფორტუნა“ გახდა პირველი მედიაჰოლდინგი, რომლის ოთხი რადიოსადგური პირველ ოთხეულს ინაწილებდა ეროვნული რადიოების რეიტინგში.

გურამ ჩიგოგიძე აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა საქველმოქმედო პროექტებშიც. მან მონაწილეობა მიიღო კავთის წმინდა გიორგის და კავთის წმინდა მარიამის ეკლესიების, ასევე კატაულას წმინდა გიორგის ტაძრის აღდგენაში. მონაწილეობას იღებდა მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძრის მშენებლობაში. ფინანსურად ეხმარებოდა სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდებს.

1997 წლამდე გურამ ჩიგოგიძე სხვადასხვა წამყვან თანამდებობებზე მუშაობდა. გახლდათ აჭარის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე, საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილე. რადიოს გახსნის შემდეგ კი თავი მთლიანად მედიას მიუძღვნა. ბოლო წლებში ის საქმიანობას ავადმყოფობის გამო ჩამოშორდა, თუმცა ბოლომდე აქტიურად იყო ჩართული რადიოჰოლდინგის პროექტებსა და ახალ წამოწყებებში.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 25

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 7 (ნ. დუმბაძე, ბ. მექვაბიშვილი,
მ. ქობულაძე, ა. გვიანიძე, თ. კავაზაშვილი,
ი. ჯინჭარაძე, კ. ქაშიბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე